ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №49 სხდომის ოქმი

2011 წლის 13 აპრილი **ქ. თბილისი**

დღის წესრიგი:

1. ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტში მოლეკულური ბიოტექნოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
2. ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების მიმართულებით (ქრისტიანული არქეოლოგია) ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
4. ფილოსოფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსზე გამარჯვებულის გამოვლენა;
5. სოციოლოგიისა და დემოგრაფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
6. გეოფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
7. ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
8. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
9. ასტროფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
10. ელემენტარული ნაწილაკების და კოსმოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
11. გეოფიზიკის მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
12. მცენარეთა ეკოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;

13. ენისა და ლიტერატურს მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
14. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა;
15. ემერიტუსების, გიორგი მაჩაბლისა და ჯუანშერ ჩქარეულის განცხადების განხილვა ორ საგანმანათლებლო ერთეულში მუშაობასთან დაკავშირებით;
16. საპატიო ბიბლიოთეკარის სტატუსის შემოღების საკითხის განხილვა და დამტკიცება;
17. ზოოლოგიის ინსტიტუტში „ნემატოლოგიური კვლევებისა და მცენარეთა ნემატოდურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ცენტრის“ შექმნის საკითხის განხილვა;
18. ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევის ინსტიტუტში ალგებრა-გეომეტრიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება;
19. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტზე „სამთო ტურიზმისა და მოგზაურთა კლუბის“ შექმნის საკითხისა და დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
20. სპორტის ფაკულტეტის დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
21. სპორტის ფაკულტეტის 2011-2012 სასწავლო წლის მისაღები გამოცდებისათვის სპორტული ტურის შეფასების წესის, სპორტულ ტურზე რეგისტრაციის წესის, ზოგად ფიზიკურ მომზადებაში პროგრამული ნორმატივებისა და შეფასების სტანდარტული შკალების განხილვა და დამტკიცება;
22. სპორტის ფაკულტეტის პროგრამების: სპორტის ფსიქოლოგია (minor) და გუნდური/ინდივიდუალური სახეობის მწვრთნელი (minor) განხილვა და დამტკიცება;
23. აკადემიური კონკურსების გამოცხადება;
24. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ენების ცენტრის მიერ მოწოდებული მოსამზადებელი პროგრამის დამტკიცება ესპანური ენის საერთაშორისო გამოცდისთვის - DELE;
25. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ენების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ქართული, რუსული და ნიდერლანდური ენების სასერტიფიკატო პროგრამების და პოლონური ენის კურსის დამტკიცება საელჩოში გასაუბრებისთვის მოსამზადებლად (პოლონეთისთვის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტიპენდიის მოპოვების მიზნით);

26. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სახელის, ბრიტანეთმცოდნეობის, შეცვლა ანგლისტიკით;
27. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემადგენლობაში „მიგრაციისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დაარსება და დირექტორად ივეტა ლაზარაშვილის დანიშვნა;
28. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ტელე-კინო სამსახიობო ხელოვნების ინკლუზიური სწავლების საყმაწვილო ცენტრის, *ართ ჰოლის* პროგრამის, „დუბლი პირველის“ დამტკიცება;
29. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის თეატრალური ხელოვნების ცენტრის პროფესიული პროგრამის, სცენის მულტიმედია - დიზაინი (4-5 საფეხურები) და-მტკიცება;
30. ცნობად მიღება 2011 წლის აკადემიური საბჭოს 48-ე სხდომაზე დამტკიცებული ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გასწორებული ვარიანტებისა: ბიზნესის ადმინისტრირება (ტურიზმის მენეჯმენტი, mijor), სამაგისტრო პროგრამები - სადაზღვევო საქმე, ჯანდაცვის სფეროს მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება;
31. ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხილვა და დამტკიცება: ბიზნესის ადმინისტრირება ინფორმაციულ მენეჯმენტში (სამაგისტრო პროგრამა), ბიზნესის ადმინისტრირება ფარმაციის მენეჯმენტში (სამაგისტრო პროგრამა), MBA Business Administracion (ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა) და ბიზნესის ადმინისტრირება ჯანდაცვის მენეჯმენტში (სადოქტორო პროგრამა);
32. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა;
33. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლებისათვის ფინანსური დახმარების საკითხის განხილვა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენა;
34. განხილვა და დამტკიცება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის შემდეგი სამაგისტრო პროგრამებისა: სახელოვნებო თეორიის კვლევა და კულტურის მენეჯმენტი და სახელოვნებო პრაქტიკის კვლევები.
35. კარლ გინძბურგისათვის, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი თანამედროვე ისტორიკოსისათვის, საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საკითხის განხილვა და დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გიორგი ბახტაძე;

5. მალხაზ მაყაშვილი;

6. გიორგი მენაბდე;

7. ბელა წიფურია;

8. ლევან ხეთაგური;

9. ზურაბ თავართქილაძე;

10. გიორგი ხიმშიაშვილი;

11. დავით მიქელაძე;

12. ივანე მურუსიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და შესთავაზა, გაეერთიანებინათ პირველი 14 საკითხი და ისე განეხილათ.

2011 წლის 13 აპრილის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. დამტკიცდეს - აკადემიური კონკურსის შედეგები 1. ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტში მოლეკულური ბიოტექნოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **ნელი დათუკიშვილი;** 2. ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად **გამოცხადდეს ნატა მეფარიშვილი**; 3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების მიმართულებით (ქრისტიანული არქეოლოგია) ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **ნოდარ ბახტაძე**; 4. ფილოსოფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **გიორგი მაისურაძე**; 5. სოციოლოგიისა და დემოგრაფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხდდეს **ანა კირვალიძე**; 6. გეოფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **მიხეილ ელაშვილი და თეა გოდოლაძე**; 7.ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **ანა კორძაია - სამადაშვილი**; 8. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **ირაკლი მაჭარაშვილი;** 9.

ასტროფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **გრიგოლ ღოღობერიძე და ზაზა ოსმანოვი;** 10. ელემენტარული ნაწილაკების და კოსმოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **მიხეილ მაზიაშვილი;** 11. გეოფიზიკის მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **ზურაბ ჯავახიშვილი;** 12. მცენარეთა ეკოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **ოთარ აბდალაძე;** 13. ენისა და ლიტერატურს მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **ნინო დობორჯგინიძე;** 14. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამარჯვებულად გამოცხადდეს **თენგიზ ვერულავა. გამარჯვებულებს სამი წლით გაუფორმდეთ შრომითი კონტრაქტი.**

2. **დადგინდეს** - უარი ეთქვას გიორგი მაჩაბელსა და ჯუანშერ ჩქარეულს 01.03.11№02-2204/11 განცხადებაში აღნიშნულ თხოვნაზე, დაეშვა უნივერსიტეტს გამონაკლისი და თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის ნება დაერთო, ემუშავათ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც;

3. **დამტკიცდეს** - შემოღებულ იქნას უნივერსიტეტში საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება და საბიბლიოთეკო საქმეში შეტანილი წვლილისათვის აღნიშნული წოდება მიენიჭოთ გულნარა სტურუას და ინგულინა ლორიას;

4. **დადგინდეს** - უარი ეთქვას ამ ეტაპზე ზოოლოგიის ინსტიტუტს მის შემადგენლობაში „ნემატოლოგიური კვლევებისა და მცენარეთა ნემატოდურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ცენტრის“ შექმნასთან დაკავშირებით, დაევალოს ინსტიტუტის დირექტორს, გიორგი ბახტაძეს, დამატებითი კონსულტაციების გამართვა აღნიშნული ცენტრის შექმნის მსურველებთან, რადგან აღნიშნული ცენტრის მიზნები ამ ეტაპზე შესაბამისობაში არ არის უნივერსიტეტის მისიასთან;

5.**დადგინდეს** - გამოცხადდეს ღია კონკურსი ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევის ინსტიტუტში ალგებრა-გეომეტრიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, შემოსული განაცხადები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული;

6. **დადგინდეს** - შეიქმნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტზე „სამთო ტურიზმისა და მოგზაურთა კლუბი“, მოწონებულ იქნას კლუბის დებულება და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

7. **დადგინდეს-** მოწონებულ იქნას სპორტის ფაკულტეტის დებულება და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

8. **დამტკიცდეს** - სპორტის ფაკულტეტის 2011-2012 სასწავლო წლის მისაღები გამოცდებისათვის სპორტული ტურის შეფასების წესი, სპორტულ ტურზე რეგისტრაციის წესი, ზოგად ფიზიკურ მომზადებაში პროგრამული ნორმატივები და შეფასების სტანდარტული შკალები;

9. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 13.04.11№03-4818/11 რეკომენდაციის გათვალისწინებით დამტკიცდეს სპორტის ფაკულტეტის ორი პროგრამა: სპორტის ფსიქოლოგია(minor) და გუნდური/ინდივიდუალური სახეობის მწვრთნელი(minor);

10. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს ღია კონკურსი შემდეგ საშტატო ერთეულებზე: 1.ფიზიკის მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე; 2. არქეოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე; 3. ევოლუციური ბიოლოგიისა და ეკოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე; 4. ცხოველთა ქცევის ეკოლოგიისა და კონსერვაციული ბიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე; 5. ციტოგენეტიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე; 6. მათემატიკის მიმართულებით სრული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე; 7. მოლეკულური ბიომეცნიერებების მიმართულებით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე. შემოსული განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული;

11. **დამტკიცდეს** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციისა და მცირედი შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცდეს მოსამზადებელი პროგრამა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ენების ცენტრის ესპანური ენის საერთაშორისო გამოცდისთვის - DELE;

12. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების გათვალისწინებით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ენების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ქართული, რუსული და ნიდერლანდური ენების სასერტიფიკატო პროგრამები და პოლონური ენის კურსის საელჩოში გასაუბრებისთვის მოსამზადებელი

პროგრამა (პოლონეთისთვის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტიპენდიის მოპოვების მიზნით). პოლონური ენის კურსს ეწოდოს მოსამზადებელი პროგრამა პოლონურ ენაში, რუსული ენის სასერტიფიკატო პროგრამას - მოსამზადებელი პროგრამა რუსულ ენაში;

13.**დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამას, ბრიტანეთმცოდნეობას, შეეცვალოს სახელწოდება ანგლისტიკით;

14. დამტკიცდეს - დაევალოთ მედიცინის კვლევითი ცენტრის დირექტორს, პროფ. გიორგი მენაბდეს და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, თენგიზ ვერულავას, კონსულტაციები გამართონ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანთან და ივეტა ლაზარაშვილთან „მიგრაციისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო კვლევით ცენტრთან" დაკავშირებით და კონსულტაციის შემდგომ აკადემიურ საბჭოს მოახსენონ შედეგები. ამის შემდეგ გაგრძელდეს მსჯელობა ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით;

15. დამტკიცდეს - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ტელე-კინო სამსახიობო ხელოვნების ინკლუზიური სწავლების საყმაწვილო ცენტრის, *ართ ჰოლის* პროგრამა „დუბლი პირველი";

16. **დამტკიცდეს -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის თეატრალური ხელოვნების ცენტრის პროფესიული პროგრამა სცენის მულტიმედია - დიზაინი (4-5 საფეხურები);

17. დადგინდეს - ცნობად იქნას მიღებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის აკადემიური საბჭოს 48-ე სხდომაზე დამტკიცებული ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გასწორებული ვარიანტები: საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება (ტურიზმის მენეჯმენტი, major), სამაგისტრო პროგრამა - სადაზღვევო საქმე, ჯანდაცვის სფეროს მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება;

18. **დამტკიცდეს -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით დამტკიცდეს ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი პროგრამები: 1. ბიზნესის ადმინისტრირება ინფორმაციულ მენეჯმენტში (სამაგისტრო პროგრამა), 2. ბიზნესის ადმინისტრირება ფარმაციის მენეჯმენტში (სამაგისტრო პროგრამა), 3. MBA Business Administracion (ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა);

19. დამტკიცდეს - ბიზნესის ფაკულტეტს სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება ჯანდაცვის მენეჯმენტში, დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურს შენიშვნების გამო პროგრამა შეათანხმოს ფაკულტეტთან და წარმოადგინოს თავიდან ცნობის სახით;
20. დამტკიცდეს - მოწონებულ იქნას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები;

21. დადგინდეს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, ნათია გაბრიჩიძის სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით გამოიყოს ფინანასური დახმარება ბიბილოთეკის ყოფილი თანამშრომლებისათვის მათი მძიმე სოციალური პირობებიდან გამომდინარე და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;

22. დადგინდეს - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით გამოსწორდეს აღნიშნული ხარვეზები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის შემდეგ სამაგისტრო პროგრამებში: 1. სახელოვნებო თეორიის კვლევა და კულტურის მენეჯმენტი, 2. სახელოვნებო პრაქტიკის კვლევები. აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობოს აკადემიურ საბჭოს.
23. **დამტკიცდეს** - მიენიჭოს საპატიო დოქტორის წოდება კარლო გინძბურგს, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ თანამედროვე ისტორიკოსს.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მაია თევზაძე